

ბიძინა კვერნაძის წიგნის პრეზენტაცია

30 სექტემბერს, 20:00 საათზე, თიბისი გალერეაში (მარჯანიშვილის ქ.#7) ბიძინა კვერნაძის წიგნის „ხანდაზმული ვარ, ხან არა...“ პრეზენტაცია გაიმართება. წიგნი რეზო გაბრიადის ილუსტრაციებით არის გაფორმებული; ავტორი და შემდგენელი სანდრო ყანჩელია.

„ხანდაზმული ვარ, ხან არა...“ ერთგვარი მოგონებათა კრებულია, სადაც გადმოცემულია ბიძინა კვერნაძის გამონათქვამები, იუმორისტული ფრაგმენტები და ისტორიები მისი ცხოვრებიდან. წიგნის გამოცემის იდეა სანდრო ყანჩელს ეკუთვნის.

წიგნის პრეზენტაციის შემდეგ, კომპოზიტორის მეგობრები და ახლობლები, მათ შორის გურამ მელივა, ანზორ ერქომაიშვილი, გია ყანჩელი, ბიძინა კვერნაძეს და მასთან დაკავშირებულ ისტორიებს მოიგონებენ.

გალერეაში მოსულ სტუმრებს საშუალება ექნებათ მოისმინონ და ნახონ ფრაგმენტი კომპოზიტორის უცნობი ინტერვიუდან. გარდა ამისა, ბიძინას მოსწავლე, ნიკა ნიკვაშვილი შეასრულებს რამდენიმე ინსტრუმენტულ ნომერს, ხოლო მომღერალი, ნანი ბრეგვაძე კომპოზიტორის 3 სიმღერას იმღერებს.

პრეზენტაციას თიბისი გალერეაში ბიძინა კვერნაძის ოჯახის წევრები, მეგობრები და მოწვეული სტუმრები დაესწრებიან.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი დეპოზიტების ბაზარზე
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 1 and Ba 3